ორი 11-მეტრიანი...

თბილისი. “დინამოს” სტადიონი. 20 ივლისი.

“დინამო” (თბილისი) - “დინამო” (კიევი) 2:1 (1:1).

თბილისი: კოტრიკაძე, ბ. სიჭინავა, ხურცილავა, ზეინკლიშვილი, ცხოვრებოვი, გ. სიჭინავა, იამანიძე, მეტრეველი, ბარქაია, აფშევი, დათუნაშვილი.

კიევი: ბანიკოვი, შჩეგოლკოვი, სოსნიხინი, ოსტროვსკი, საბო, ტურიანჩიკი, ვარაგინი, სერებრიანიკოვი, კანევსკი (ბაზილევიჩი), ბიბა, მედვიდი.

მსაჯი: ა. ალოვი (ლენინგრადი).

გუშინდელი მატჩი თბილისისა და კიევის დინამოელთა შორის უაღრესად დაძაბულ, მწვავე ბრძოლაში ჩატარდა. ნერვიულობდა ორივე გუნდი, მოთამაშეები ხშირად გადადიოდნენ დაწესებულ სპორტულ ნორმებს და ლენინგრადელ მსაჯს ალოვს საგანგებო ზომების მიღება დაჭირდა მინდორზე წესრიგის დასამყარებლად. ერთ-ერთი ასეთი ღონისძიების შედეგად აშკარა უხეშობისათვის მინდვრიდან იქნა გაძევებული კიეველთა ფორვარდი სერებრიანიკოვი.

მიუხედავად იმისა, რომ თბილისელები დასაწყისიდანვე განუწყვეტლად უტევდნენ მოწინააღმდეგის კარს, პირველი ბურთი გატანილ იქნა სწორედ კიეველთა მიერ. მისი ავტორი იყო მედვიდი. ანგარიში გათანაბრდა 36-ე წუთზე: სტუმრების მცველმა ოსტროვსკიმ ხელით გამოიტანა კარისკენ წასული ბურთი და მეტრეველმა ზუსტად გამოიყენა პენალტი - 1:1.

მეორე ტაიმის მე-17 წუთზე დათუნაშვილმა ძლიერი დარტყმით წინ გაიყვანა თავისი გუნდი და თბილისელებმა ეს ანგარიში - 2:1 მატჩის ბოლომდე შეინარჩუნეს.

აღსანიშნავია, რომ კიეველებს ჰქონდათ საპასუხო ბურთის გატანის შესაძლებლობა: მათ მიიღეს 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმის უფლება, მაგრამ კოტრიკაძემ შეძლო (ეს უკვე მერამდენედ!) სერებრიანიკოვის მიერ კარის მარცხენა კუთხეში გაგზავნილი ბურთის მოგერიება.

“ლელო”, 21 ივლისი, 1964 წ.